

## 16-17 აპრილი 2015

## სტუდენტური კონფერენცია თემაზე:

# ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

**კონფერენციის მიზანია** ხელი შეუწყოს უნივერსიტეტებისა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის თანამშრომლობის გაძლიერებას და სტუდენტების ჩართულობის ამაღლებას ქვეყანაში ტურიზმის განვითარების საკითხებში.

ნაშრომი  უნდა ეხებოდეს ზოგადად ტურიზმს ან ტურიზმის რომელიმე სფეროს.  შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს საქართველოში ტურიზმის განსავითარებლად ინოვაციური იდეები, მარკეტინგული მეთოდები, ტურიზმის პროგნოზირების მეთოდები, კვლევები და  ტურიზმის ეკონომიკური მოდელები.

**მონაწილეობას მიიღებენ** საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტები.

**რატომ უნდა მივიღო მონაწილეობა კონფერენციაში?**
კონფერენცია სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას ჩაატარონ ინდივიდუალური კვლევები და შესთავაზონ ახალი იდეები საქართველოში ტურიზმის პოლიტიკის მთავარ განმსაზღვრელ ორგანოს.

კონფერენციის შედეგად მოხდება წარმატებული სტუდენტების ბაზების შექმნა და მათი გათვალისწინება საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტაციაში სტაჟირების ან მომავალი დასაქმების თვალსაზრისით.

გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით. შერჩეული ნაშრომები დაიბეჭდება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კრებულში სახელწოდებით“ ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“. კონფერენციის ყველა მონაწილეს გადაეცემა სერტიფიკატი.

---

**კონფერენციის ორგანიზატორი:**

Georgia

**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია**
**კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველო**

# მნიშვნელოვანი თარიღები:

## 10 მარტი
თეზისების წარმოდგენის ბოლო ვადა. მოცულობა 1-2 გვერდი.

## 15 მარტი
მომდევნო ეტაპზე გადასული კანდიდატების განსაზღვრა და მათი ინფორმირება.

## 3 აპრილი
ნაშრომების მიღების ბოლო ვადა, მოცულობა 5-10 გვერდი.

## 10 აპრილი
შერჩეული ნაშრომების ავტორების გამოვლენა.

## 16-17 აპრილი
პრეზენტაციების და გამოგზავნილი ნაშრომების საფუძველზე გამარჯვებულების გამოვლენა.

### კონფერენციის სამუშაო ენა:
ქართული და ინგლისური.



**დამატებითი ინფორმაციისთვის:** www.gnta.ge/conference

**თეზისები და საბოლოო ნაშრომები გთხოვთ გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე:** tourismconference@gnta.ge

პრიზი დააწესა:

მხარდამჭერები: